თასი 1/32

შეჯიბრება "სსრკ თასზე"

6 აგვისტოს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ფეხბურთით დაინტერესებულმა დიდძალმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ამ დღეს თბილისის "დინამოსა" და "ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები ატარებდნენ "სსრკ თასის" გათამაშების მეხუთე წრის კალენდარულ შეჯიბრებას ფეხბურთში.

6 საათსა და 15 წუთზე იწყება თამაში. ტაიმის პირველი წუთებიდანვე ლოკომოტიველებმა ტექნიკურად დახვეწილი და ტემპიანი თამაში განავითარეს. მათი თავდასხმის ხუთეული მეტად კრიტიკულ მომენტებს ჰქმნიდა "დინამოს" კარის მოედანზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდასხმის მარცხენა ფრთის – იმნაძის და ჩერედნიჩენკოს აქტიური თამაში, რომელთა "დახურვა" ვერ შეძლეს ჯორბენაძემ და შავგულიძემ. დინამოელები თითქოს დაიბნენ, მათ თამაშს აკლდა სიზუსტე, ტემპი და კოლექტიურობა. ბურთის გადაცემა ხდებოდა ბრმად, არ იყო კავშირი ნახევარდაცვასა და თავდამსხმელთა შორის, კარში დარტყმული ბურთი მეტწილად სათამაშო მოედანს გარეთ იჭრებოდა და სხვ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მდგომარეობა იცვლება. იწყება უხეშობა. ამ დარგში ჭელიძემ ("ლოკომოტივი") "ისახელა" თავი. მიუხედავად იმისა, რომ ის რამდენჯერმე იქნა სამართლიანად გაფრთხილებული, მაინც განაგრძობდა დაწყებულ "საქმეს" – უხეშობას.

ლოკომოტიველთა უპირატესობა გრძელდება. მე-11 წუთზე ჯორბენაძის და შავგულიძის უხეში ტაქტიკური შეცდომით ისარგებლა იმნაძემ. მან ლამაზად მიაწოდა ბურთი შერჩეულ ადგილზე მდგარ ჩერედნიჩენკოს, ამ უკანასკნელმა კი ყუმბარისებური გარტყმით გაარღვია მოწინააღმდეგის კარი. – 1:0 "ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

უხეშობა გრძელდება. ჭელიძეს გვერდში ამოუდგა აკოფოვი, ჩხატარაშვილი, ღვინიაშვილი და თითქმის მთელი გუნდი. საფეხბურთო მოედანზე გაიმართა ყვირილი, უხეში მიმართვა მსაჯისადმი და სხვა. ლოკომოტიველებს არც ჯორბენაძე ("დინამო") ჩამორჩა და მაყურებელთა წინაშე გაიშალა დამტვრევის ტაიმი.

მე-18 წუთზე დინამოელებმა კარგი კომბინაციის შედეგად გაათანაბრეს ანგარიში. ტაიმის ბოლომდე უხეშობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. მე-23 წუთზე აკოფოვი "კარგად გაუმასპინძლდა" ბერეჟნოის. სიხარულიძემ დაიწყო "ცელვა" ფეხებით, ჩხატარაშვილი კი მონდომებით იჭერდა ხელით პაიჭაძეს და სხვ. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ – 1:1.

მეორე ტაიმი დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობს. მე-4 წუთზე გარღვევაზე გასული პაიჭაძე კარის მოედანზე უხეში დაჯახებით წააქციეს, მსაჯი იოსავა კანონიერად ნიშნავს "პენალტს". მ. ბერძენიშვილს გააქვს მეორე ბურთი. რამდენიმე წუთის შემდეგ ბერეჟნოი კუთხური გარტყმით ადიდებს ანგარიშს, მაგრამ მას ადგილზევე უმასპინძლდებიან ლოკომოტიველები თავში "ბუცის" დარტყმით და გაჰყავთ მწყობრიდან. ტაიმის ბოლომდე ლოლაძეს გააქვს მეოთხე ბურთი. შეჯიბრება დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით – ანგარიშით 4:1. ამრიგად, "ლოკომოტივი" გავიდა გათამაშების მწყობრიდან.

მსაჯმა იოსავამ კანონიერად გააძევა მოედნიდან ლოკომოტიველი ღვინიაშვილი და ჩიტაია, რომლებიც მის მიერ ორ-ორჯერ იყვნენ გაფრთხილებული. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საფეხბურთო სექციამ და "დინამოსა" და "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანონ ამ თამაშის დროს მომხდარი ამბებიდან.

ვ. გ-ლია.
"მუშა", 7 აგვისტო, 1938 წ.